

შინიგებინა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

2021 | საქმიანობის წილის ანგარიში



შინიგებინა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

OFFICE OF THE STATE MINISTER OF GEORGIA
FOR RECONCILIATION AND CIVIC EQUALITY

WWW.SMR.GOV.GE

სარჩევი

1. შერიგებისა და ჩართულობის კოლიტიკა	3
1.2. სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ განხორციელება	4
1.3. ჩართულობის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია	6
1.3.1. კანდედიის პერიოდში კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის დახმარება და სამედიცინო მომსახურებაზე წვდომა	6
1.3.2. სოფლის მეურნეობა	8
1.3.3. საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საყრდენებზე რეაბირება	8
1.3.4. დიალოგი და ნდობის აღდგენა	10
1.5. ქენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები	13
1.6. თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან	17
1.7. ინკლუზიური სამშვიდობო პროცესის უზრუნველყოფა	19
1.7.1. თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოებასთან	19

შენიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში

შესავალი

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი განსაზღვრავს, ახორციელებს და კოორდინაციას უწევს საქმიანობას სახელმწიფო პოლიტიკის ორი მიმართულებით: 1) საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების მიმდინარე ოკუპაციის შედეგად ხელოვნურად გაყოფილი საზოგადოების მიმართ შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის განხორციელება; 2) საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მხარდაჭერა, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის უზრუნველყოფა, კულტურათაშორისი ურთიერთობების განმტკიცება.

საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპაციის და შემდგომი ანექსიისკენ გადადგმულ ნაბიჯებს საქართველოს ხელისუფლება უპირისპირებს თანამიმდევრულ და პრინციპულ პოლიტიკას, ადგილზე მდგრადი მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. საერთაშორისო არენაზე საქართველოს რეგიონების დეოკუპაციისკენ მიმართული ნაბიჯებისა და არალიარების პოლიტიკის შემდგომი გამტკიცების კვალდაკვალ, **შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის** მიზანია ომით ხელოვნურად გაყოფილი მოსახლეობის დიალოგის, ნდობის აღდგენისა და საერთო ინტერესებზე დაფუძნებული თანამშრომლობის გზით შერიგება და ჩართულობა, ასევე, კონფლიქტის სრულმასშტაბიან მოგვარებამდე, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნა და უკეთესი მომავლის პერსპექტივის შექმნა, მათ შორის ქვეყნის დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარებისა და ევროპული ინტეგრაციის გზაზე მიღწეული სიკეთეებისა და სერვისების გაზიარება. აღნიშნული პოლიტიკა არის ცალსახად მშვიდობიანი, სტატუს-ნეიტრალური და ადამიანზე ორიენტირებული და მისი ამოცანაა, ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა სარგებლობდეს იმავე შესაძლებლობებით, პროგრამებითა და სერვისებით, რაც ხელმისაწვდომია დანარჩენ საქართველოში მცხოვრები პირებისთვის.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკის ძირითად მიზანს წარმოადგენს -თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული დემოკრატიული საზოგადოების განმტკიცება და ერთიანი, სტაბილური, სამართლებრივი, მრავალკულტურული და საქართველოს ყველა მოქალაქისთვის, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა, თანაბარი შესაძლებლობების შექმნა, რათა თითოეულმა მოქალაქემ შეძლოს წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ასევე კულტურულად მრავალეროვანი საზოგადოების გაძლიერებისთვის კულტურათაშორისი დიალოგის შემდგომი ხელშეწყობა.

დასახული ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად, 2021 წელს, გლობალური პანდემიისა და მასთან დაკავშირებული შეზღუდვების მიუხედავად, სახელმწიფო მინისტრის აპარატის კომპეტენციაში შემავალი ორივე მიმართულებით ინტენსიური მუშაობა წარიმართა; შემუშავდა, ამოქმედდა და განხორციელდა ადამიანებზე ორიენტირებული რიგი ინიციატივები და პროგრამები, ახალი მიდგომები და უნიკალური ინსტრუმენტები.

1. შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკა

მიმდინარე ოკუპაციით წარმოქმნილი გამოწვევებისა და საფრთხეების ფონზე, როდესაც საოკუპაციო ხაზს მიღმა და მათ სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობა განიცდის ადამიანის ფუნდამენტური უფლებების უხეშ დარღვევას, საქართველოს მთავრობა აგრძელებს აქტიურ და შედეგზე-ორიენტირებულ შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის გატარებას ომით ხელოვნურად გაყოფილ საზოგადოებას შორის დიალოგისა და ნდობის აღდგენის ხელშეწყობის, ასევე კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობაზე ზრუნვისა და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, მათ შორის სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, ასევე ჩართულობის სხვადასხვა მიმართულებების ეფექტიანი განხორციელების გზით.

1.1. შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის სტრატეგიული გადახედვა

2021 წლის 21 აპრილს „ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით სამთავრობო კომისიის“ მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება 2010 წელს დამტკიცებული „სახელმწიფო სტრატეგიის ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ - ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ და თანმდევი სამოქმედო გეგმის სტრატეგიული გადახედვის პროცესის დაწყების თაობაზე, რაც მიზნად ისახავს უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე შერიგების და ჩართულობის პოლიტიკის ფარგლებში მიღწეული შედეგების შეფასებას, გამოწვევების იდენტიფიცირებას და სიღრმისეული გაანალიზებას, სტრატეგიული დოკუმენტის ცალკეული ნაწილების შესაბამისობაში მოყვანას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არსებულ რეალობასთან, საჭიროებებზე მორგებული ახლებური მიდგომების შემუშავებას და ახალი შესაძლებლობების განსაზღვრას კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

სტრატეგიული გადახედვის პროცესი ორ ეტაპად მიმდინარეობს. პირველ ეტაპზე, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ, სამთავრობო უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობითა და კოორდინაციით, მომზადდა „ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის - ჩართულობა თანამშრომლობის გზით და ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შეფასების დოკუმენტი“. დოკუმენტში ვრცლად არის მიმოხილული 2010 წლის შემდგომ შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის კუთხით მიღწეული შედეგები და წარმოქმნილი სირთულეები, ასევე გაკეთებულია ძირითადი დასკვნები, რაც სამომავლო პოლიტიკის განსაზღვრის

შესაძლებლობას იძლევა. შეფასების დოკუმენტზე მსჯელობა მოხდა წამყვან ექსპერტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, მათ შორის სახელმწიფო მინისტრის აპარატთან შექმნილ „შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა საკონსულტაციო საბჭოს“ და „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება - მშვიდობის მშენებლობის პროცესში ქალთა ეფექტიანი მონაწილეობის გაძლიერების საკითხებზე საკონსულტაციო პლატფორმის“ წევრებთან და მასში სათანადოდ აისახა განხილვის დროს მიღებული შენიშვნები, მოსაზრებები და რეკომენდაციები. დოკუმენტი ასევე გაზიარებულ იქნა საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის წევრებისთვის, ასევე საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან.

სამთავრობო კომისიის მიერ შეფასების დოკუმენტის 2021 წლის 27 ოქტომბერს დამტკიცების შედეგად, დაიწყო ჩართულობის სტრატეგიის და მისი თანმდევი სამოქმედო გეგმის სტრატეგიული გადახედვის მეორე ეტაპი, რომლის სტრუქტურულობადაც წარმართვის მიზნით, სამთავრობო კომისიამ ასევე დაამტკიცა მეორე ეტაპის განხორციელების დროში განერილი გეგმა. სტრატეგიული გადახედვის პროცესი 2022 წელს გაგრძელდება, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ერთიანი სამთავრობო მიდგომის ფარგლებში.

სამთავრობო კომისიის წევრ სახელმწიფო უწყებებთან, საქართველოს პარლამენტთან და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოსთან ერთად, სტრატეგიული გადახედვის პროცესი ფართო საზოგადოებრივი ჩართულობით, კერძოდ, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების, ექსპერტების, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული - დევნილი და გამყოფ ხაზებთან მცხოვრები მოსახლეობის, ასევე საერთაშორისო პარტნიორებისა და ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობს.

სტრატეგიული გადახედვის შედეგად შეიქმნება ფუნდამენტურად განახლებული პოლიტიკის დოკუმენტები, რომლებიც კიდევ ერთხელ დაადასტურებს საქართველოს მთავრობის მზაობას, სხვადასხვა უნიკალური ინსტრუმენტის გამოყენებით და ახლებური მიდგომებით, კიდევ უფრო ეფექტიანად განახორციელოს შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკა ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ომით ხელოვნურად გაყოფილ საზოგადოებას შორის დიალოგის, თანამშრომლობისა და შერიგების უზრუნველსაყოფად.

1.2. სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ განხორციელება

2021 წელს გაგრძელდა სამშვიდობო ინიციატივის "ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ" აქტიური განხორციელება, რომელიც სამ ძირითად მიმართულებას მოიცავდა: 1) ვაჭრობის წახალისებას გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრებ საზოგადოებას შორის; 2) ხარისხიანი განათლების შესაძლებლობების უზრუნველყოფას აფხაზეთისა

და ცხინვალის რეგიონის მცხოვრები ახალგაზრდებისთვის; 3) ადგილობრივი მოსახლეობისთვის სხვადასხვა სახელმწიფო სერვისზე წვდომის გაუმჯობესებას.

ვაჭრობისა და ეკონომიკური საქმიანობის წახალისების კუთხით, აღსანიშნავია 2020 წლის 21 სექტემბერს სამშვიდობო ინიციატივის ფარგლებში ამოქმედებული უნიკალური ფინანსური მექანიზმის - „მშვიდობის ფონდის უკეთესი მომავლისთვის“ (შემდგომში - მშვიდობის ფონდი) საქმიანობა, რომელიც ემსახურება აფხაზურ და ოსურ საზოგადოებასთან თანამშრომლობას პარტნიორული ბიზნეს-პროექტების დაფინანსების გზით და ამგვარად ხელოვნურად გაყოფილ საზოგადოებას შორის დიალოგისა და საერთო ინტერესების გარშემო დიალოგის გაღრმავებას, ასევე კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ადამიანების სოციალურ-ეკონომიკურ მხარდაჭერას, რაც აგრეთვე განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია პანდემიის მძიმე შედეგებთან გამკლავების კონტექსტში.

2021 წლის 1-31 ივნისს მშვიდობის ფონდმა რიგით მეორე საგრანტო კონკურსი გამოაცხადა, რომლის ფარგლებში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან 84 განაცხადი დარეგისტრირდა, რაც პირველ საგრანტო კონკურსთან შედარებით გასამმაგებულ რაოდენობას წარმოადგენს. შემოსული ბიზნეს-განაცხადებიდან დაფინანსება 35-მა პროექტმა მიიღო და 2021 წელსვე დაიწყო 20-ზე მეტი პროექტის ეფექტიანი განხორციელება.

ამასთან, წლის განმავლობაში მიმდინარეობდა 2020 წლის შემოდგომაზე გამოცხადებული პირველი საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული 14 ბიზნეს-პროექტიდან 11 პროექტის განხორციელება.

იმის გათვალისწინებით, რომ მშვიდობის ფონდი გრანტებს გასცემს საერთაშორისო კონტრიბუციების საფუძველზე, 2021 წელს გრძელდებოდა აქტიური კონსულტაციები დონორ-ორგანიზაციებსა და პარტნიორ სახელმწიფოებთან მშვიდობის ფონდში ფინანსური რესურსების მობილიზების მიზნით. შედეგად, ფონდში ფინანსური კონტრიბუცია განახორციელეს გერმანიამ, გაერთიანებულმა სამეფომ და შვეიცარიამ, ჯამში დაახლოებით 400 000 ევროს ოდენობით.

ფონდის საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<http://www.peacefundbf.org/en>) და Facebook გვერდზე (<https://www.facebook.com/peacefundbf/>).

სამშვიდობო ინიციატივის მეორე პრიორიტეტული მიმართულების - ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების ხარისხიან განათლების ყველა საფეხურზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კუთხით, აღსანიშნავია, რომ 2021 წელს, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებში უგამოცდოდ ჩაირიცხა 276 აბიტურიენტი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან. ამასთან, გრძელდებოდა ე.წ. „1+4“ პროგრამის განხორციელება, რომელიც საშუალებას აძლევს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, მათ შორის აფხაზებსა და ოსებს, გამარტივებული წესით ჩაირიცხონ საქართველოს

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მშობლიურ ენაზე მხოლოდ ერთი გამოცდის ჩაბარების გზით. 2021 წელს, აღნიშნული პროგრამის ერთწლიანი მოსამზადებელი კურსის გავლის შედეგად, საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან 7 აბიტურიენტი მოხვდა.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდების მიერ საზღვარგარეშე განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე განახლდა ინფორმაცია საერთაშორისო უნივერსიტეტებში ხელმისაწვდომი პროგრამებისა და სტიპენდიების შესახებ.

სამშვიდობო ინიციატივის შესაბამისად, 2021 წელს გაგრძელდა ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის სახელმწიფო სერვისებზე, მათ შორის საქართველოს მოქალაქის პასპორტზე, გამარტივებული წესით წვდომის უზრუნველყოფა.

1.3. ჩართულობის სამთქმედო გეგმის იმპლემენტაცია

1.3.1. პანდემიის პერიოდში კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის დახმარება და სამედიცინო მომსახურებაზე წვდომა

პანდემიის დროს საქართველოს მთავრობამ კიდევ უფრო გააძლიერა ძალისხმევა ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის ხარისხიან სამედიცინო მომსახურებაზე შეუფერხებელი წვდომის უზრუნველსაყოფად. ადგილზე არსებულ მძიმე ჰუმანიტარული და უფლებრივი მდგომარეობის, თავისუფალ გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვებისა და ხელოვნური იზოლაციის პირობებში, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს და ამოცანას ადგილობრივი მოსახლეობის დახმარება და მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა წარმოადგენდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაგრძელდა მუშაობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე პანდემიის შედეგებთან საბრძოლველად, რაც რიგი მიმართულებებით კონკრეტული ქმედითი ღონისძიებების განხორციელებას გულისხმობდა. კერძოდ:

- ❖ საქართველოს ხელისუფლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გრძელდებოდა აფხაზეთის რეგიონისთვის საჭირო სამედიცინო აღჭურვილობის, სწრაფი ტესტების, მედიკამენტებისა და ჰიგიენური საშუალებების რეგულარულად მიწოდება;
- ❖ გამოცდილების გაზიარების მიზნით, ასევე გრძელდებოდა ადგილობრივი ექიმებისთვის ონლაინ-კონსულტაციების რეგულარულ რეჟიმში გაწევა და პანდემიის მართვის თაობაზე შესაბამისი რჩევების მიცემა ქართველი სპეციალისტების მიერ;

- ❖ საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერით, აფხაზეთის რეგიონში კვლავ განხორციელდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მისია, ადგილზე არსებული მდგომარეობის შეფასებისა და რეკომენდაციების შემუშავებისთვის;
- ❖ გრძელდებოდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე კოვიდ-ინფიცირებული პაციენტების გადმოყვანა და მკურნალობა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. 2021 წელს ორივე ოკუპირებული რეგიონიდან ჯამში 600 პაციენტს გაეწია სამედიცინო მომსახურება;
- ❖ ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობაზე გაავრცელდა კოვიდ საინფორმაციო ეროვნული იმუნიზაციის პროგრამა, რაც გულისხმობს ვაქცინაციის საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ჩატარებას გამარტივებული წესით, წინასწარი რეგისტრაციის გარეშე.

სამწუხაროდ, ახალგორის მიმართულებით ე.წ. „გადასასვლელი პუნქტის“ დაკეტვის შედეგად, ამ დრომდე სრულიად ჩაკეტილი და ხელოვნურად იზოლირებული რჩება ცხინვალის რეგიონი, რის გამოც საქართველოს მთავრობა მოკლებული იყო შესაძლებლობას, ადგილობრივი მოსახლეობისთვის სათანადო დახმარება გაეწია. საჭაროდ გაკეთებული განცხადებების, ასევე არაერთი არაფორმალური კომუნიკაციისა და მცდელობის მიუხედავად, საოკუპაციო რეჟიმი გაგანგრძობდა მოსახლეობის დახმარების წმინდა ჰუმანიტარული საკითხის პოლიტიზებას და უარს აცხადებდა საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ნებისმიერი დახმარების მიღებაზე. შექმნილ ვითარებაში, საქართველოს მთავრობა განაგრძობდა ინტენსიურ მუშაობას ადგილზე მოქმედ ერთადერთ საერთაშორისო ორგანიზაციასთან - წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან, ადგილობრივი მოსახლეობის დახმარების უზრუნველსაყოფად.

პანდემიასთან დაკავშირებულ დახმარებასთან ერთად, საქართველოს მთავრობა განაგრძობდა ინტენსიურ მუშაობას „სახელმწიფო რეფერალური პროგრამის“ შეუფერხებელი და ეფექტიანი ფუნქციონირების და მის ფარგლებში სხვადასხვა სამედიცინო მომსახურების გაწევის უზრუნველსაყოფად. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრები ადამიანებისთვის. ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომლებიც კვეთდნენ საოკუპაციო ხაზს, შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ სრულფასოვანი, საჭიროებაზე მორგებული უფასო სამედიცინო მომსახურება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ სამედიცინო დაწესებულებებში. 2021 წელს, რეფერალური პროგრამის მომსახურებით სარგებლობის მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ შუამდგომლობა გაეწია ოკუპირებული რეგიონების 1248 მოსახლეს (1027 აფხაზეთის რეგიონიდან და 221 ცხინვალის რეგიონიდან). გარდა ამისა, საქართველოს მთავრობა განაგრძობდა მუშაობას სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისთვის ოკუპირებული ტერიტორიების შიგნით და დახმარებას უწევდა ადგილობრივ სამედიცინო პუნქტებს.

საკოორდინაციო მექანიზმის საშუალებით, რომელიც აგრძელებდა ეფექტიან მუშაობას ჩართულობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, საქართველოს მთავრობა აფხაზეთის რეგიონს რეგულარულად აწვდიდა საჭირო სამედიცინო პრეპარატებს. კერძოდ, 2021 წელს აფხაზეთის რეგიონს გადაეცა იმუნიზაციის ვაქცინები, დიაბეტის წამლები, ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ანტიბიოტიკები და აივ/შიდსის საწინააღმდეგო მედიკამენტები, რომელთა ღირებულებამ დაახლოებით 1.5 მილიონი ლარი შეადგინა.

ჯამში, 2021 წელს საქართველოს მთავრობის მიერ ჯანდაცვის კომპონენტზე დახარჯულმა თანხამ 5 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა.

1.3.2. სოფლის მეურნეობა

ადგილზე არსებულ გამოწვევებთან გამკლავების და მავნებლებთან ბრძოლის მიზნით, საკოორდინაციო მექანიზმის საშუალებით, აფხაზეთის რეგიონს რეგულარულად გადაეცემოდა მცენარეთა და ცხოველთა დაცვის სხვადასხვა საშუალებები. 2021 წელს, აფხაზეთის რეგიონს მიეწოდა აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო საშუალებები და პესტიციდები, რომლის ღირებულებამ დაახლოებით 600,000 ლარი შეადგინა.

1.3.3 საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირება

საოკუპაციო ძალის უკანონო ქმედებები, უპირველეს ყოვლისა გამოყოფი ხაზის გასწვრივ მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვის პროცესი, სავალალოდ აისახება არამხოლოდ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობაზე, არამედ საოკუპაციო ხაზების მიმდებარე სოფლების ჰუმანიტარულ მდგომარეობაზე. შესაბამისად, მთავრობისთვის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად რჩება საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობაზე ზრუნვა და მათ საჭიროებებზე რეაგირება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება 2013 წელს შექმნილი გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია, რომელსაც თანათავმჯდომარეობს სახელმწიფო მინისტრი.

2021 სამთავრობო კომისიის ფარგლებში გრძელდებოდა მუშაობა ცალკეული სოციალურ-ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებების განსახორციელებლად, კერძოდ:

- ❖ 2021 წლის ზამთრის პერიოდში გათბობის უზრუნველყოფისათვის თითოეული ოჯახისათვის გამოიყო 200 ლარი. ჯამში დაფინანსდა 13 975 ოჯახი;
- ❖ გაგრძელდა სტუდენტების მხარდაჭერის პროგრამა და 2020-2021 სასწავლო წელი 1954 სტუდენტს დაუფინანსდა უმაღლესი განათლების საფასური;
- ❖ განხორციელდა და მიმდინარეობს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი: გზების, ბაღების და სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია, ამბულატორიების

ინფრასტრუქტურის განვითარება, ხიდების, სანიაღვრე არხების, კანალიზაციის, გარე განათებების მოწყობა და სხვა;

- ❖ სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის მიმართულებით, მცირემნიშნან ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, მოიხნა და დამუშავდა მიწის ნაკვეთები, მოწესრიგდა სარწყავი სისტემები, დაითესა სხვადასხვა კულტურები; განხორციელდა აგროდაზღვევის პროგრამა; ასევე, განხორციელდა ცალკეული ვეტერინარული ღონისძიებები (ვაქცინაცია). აღსანიშნავია, რომ გამყოფი ხაზის სოფლებზე სასოფლო-სამეურნეო პროგრამები ვრცელდება შეღავათიანი პირობებით;
- ❖ მიმდინარეობდა უძრავი ქონების რეგისტრაციის პროცესი. გამყოფი ხაზის სოფლებში მიწის ნაკვეთებზე დღეისათვის უკვე რეგისტრირებულია 7600-ზე მეტი პირის საკუთრების უფლება;
- ❖ დაიწყო მუშაობა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად სოფელ ზარდიაანთკარში დაზიანებული სახლების რეაბილიტაციის მიმართულებით.

ადგილზე ვითარების გაცნობისა და არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების მიზნით, განხორციელდა სახელმწიფო მინისტრის ვიზიტები გამყოფ ხაზებთან მდებარე კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ სოფლებში, კერძოდ: ონის მუნიციპალიტეტის სოფ. გლოლაში, საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფ. პერევეში, გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ერგნეთში, ხურვალეთსა და ციცაგიაანთკარში, კასპის მუნიციპალიტეტი სოფ. ქალაში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფ. მუჟავაში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. რუხსა და ტყაიაში.

გრძელდებოდა თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან, გამყოფ ხაზებთან მცხოვრები კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ფუნდამენტური უფლებების დაცვისა და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

2021 წლის 10 ივნისს, სახელმწიფო მინისტრი, საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ ლიეტუვას პრეზიდენტთან გიტანას ნაუსედასთან ერთად, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურვალეთში დევნილთა დასახლებას ეწვია და ადგილობრივ მოსახლეობას განხორციელებული პროექტების, საჭიროებებისა და სამომავლო გეგმების შესახებ ესაუბრა.

2021 წელს ეუთო-სა და USAID-ის დაფინანსებით, გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ციცაგიაანთკარში განხორციელდა სასმელი წყლის მომარაგების სისტემის რეაბილიტაცია, რომლის ბენეფიციარი კონფლიქტის შედეგად დაზარალებული 120 ოჯახი გახდა; პროექტის დასრულებასთან დაკავშირებით, 14 ივნისს, სახელმწიფო მინისტრმა, ეუთო-ს გენერალურ მდივანთან ჰელგა მარია შმიდთან და საქართველოში აშშ-ის ელჩთან კელი დეგნანთან ერთად, შეხვედრა გამართა სოფელ ციცაგიაანთკარში მცხოვრებ მოსახლეობასთან.

COVID-19 პანდემიის შედეგების შემსუბუქების მიზნით, 2020-2021 წლის ზამთრის პერიოდში, საერთაშორისო პარტნიორებისა და ორგანიზაციების მხარდაჭერით,

გამყოფ გაზებთან მცხოვრებ ყველა დაუცველ ოჯახს, მათ შორის კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ობოლ და შშმ ბავშვებს, მარტოხელა მოხუცებებსა და მრავალშვილიან ოჯახებს სოციალური დახმარების ფარგლებში გადაეცათ ჰიგიენური საშუალებებისა და საკვები პროდუქტების 2496 კალათა.

1.3.4 დიალოგი და ნდობის აღდგენა

საქართველოს მთავრობა აქტიურად აგრძელებდა ომით ხელოვნურად გაყოფილ საზოგადოებას შორის ეფექტიანი კომუნიკაციის, ნდობის აღდგენის პროექტების განხორციელებასა და სახალხო დიპლომატიის მხარდაჭერას. სახელმწიფო მინისტრის აპარატი იყენებდა ყველა შესაძლებლობას საზოგადოების აფხაზ და ოს წარმომადგენლებთან კომუნიკაციის განხორციელებისთვის და აქტიურად მუშაობდა დიალოგისა და ნდობის აღდგენის ახალი შესაძლებლობების შექმნისათვის. COVID-19 პანდემიის პირობებში, ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის დახმარების პარალელურად, კიდევ უფრო გაღრმავდა არაფორმალური კომუნიკაცია, მათ შორის პანდემიასთან ბრძოლისა და საერთო ინტერესის საკითხების ირგვლივ.

არაფორმალური დიალოგისა და განუღი ძალისხმევის შედეგად, გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის მხარდაჭერით, მოქმედებას განაგრძობდა ე.წ. „ჰუმანიტარული კორიდორი“, რომლის შედეგადაც აფხაზეთის რეგიონში მცხოვრებ, განსაკუთრებით მოწყვლად პირებს - მრავალშვილიან ოჯახებს, პენსიონერებს, სოციალურად დაუცველ და შშმ პირებს სხვადასხვა მიზნით საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლის, მათ შორის მედიკამენტების შეძენისა და სოციალური შემწეობის ენგურის ხიდთან აღების საშუალება მიეცათ, სადაც მათთვის ასევე მობილიზებული იყო საბანკო და სააფთიაქო მომსახურება. ე.წ. „ჰუმანიტარული კორიდორი“ 2021 წლის 17 აპრილამდე, აფხაზეთის რეგიონის მიმართულებით მიმოსვლის აღდგენამდე ფუნქციონირებდა.

ხელოვნურად გაყოფილ საზოგადოებას შორის კომუნიკაციის მიმართულებით ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობის ჩართულობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში მოქმედი საკოორდინაციო მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირება, რომელიც ინარჩუნებდა არაფორმალურ კომუნიკაციას თბილისს და სოხუმს შორის, აფხაზეთის რეგიონს რეგულარულად აწვდიდა სხვადასხვა სახის სამედიცინო და სასოფლო-სამეურნეო საშუალებებს, ასევე დახმარებას უწევდა საერთაშორისო ორგანიზაციებს ნდობის აღდგენის პროექტების განხორციელებაში.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად უჭერდა მხარს და ხელს უწყობდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო პარტნიორებისა და ორგანიზაციების ჩართულობას და მათ მიერ ჰუმანიტარული დახმარებისა და ნდობის აღდგენისკენ მიმართული პროექტების განხორციელებას. ყველა საერთაშორისო პარტნიორის მიმართ, როგორც მრავალმხრივ ფორმატში, ისე ორმხრივი შეხვედრების დროს, მთავარი გზავნილი კვლავ იყო ნდობის აღდგენის კუთხით ძალისხმევის გაორმაგება და განხორციელებულ პროექტებში ქართულ-აფხაზური/ქართულ-ოსური შეხვედრების

კომპონენტის გაზრდა, რაც გაყოფილი ადამიანების დაახლოების და ხელოვნურად შენარჩუნებული გაუცხოების დაძლევის საფუძველია.

2021 წელს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა თანხმობა გასცა ოკუპირებული რეგიონების მიმართულებით საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების 81 ახალ პროექტზე. სამწუხაროდ, პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა კვლავ მნიშვნელოვნად შეაფერხა ნდობის აღდგენისკენ მიმართული რიგი პროექტებისა და ინიციატივების განხორციელება, რის გამოც არაერთი ღონისძიება თუ შეხვედრა გადაიდო ან/და განხორციელდა ონლაინ/ჰიბრიდულ რეჟიმში.

1.4. შეიარაღებული მოქმედებების შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანების ხვედრის გარკვევა

საქართველოს მთავრობის შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებაა საქართველოში 1990-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებებისა და 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად (2300-ზე მეტი) უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანის ბედისა და ადგილსამყოფელის დადგენა, გაუჩინარებულ პირთა მოძიებისა და მათთვის სათანადო პატივის მიგების, მათი ოჯახების თანადგომის, ასევე ომით ხელოვნურად გაყოფილ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენის ხელშეწყობის მიზნით.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ეგიდით, ფუნქციონირებას განაგრძობს ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო მექანიზმი, სადაც საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას წარმოადგენს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; ასევე, სახელმწიფო მინისტრის აპარატი თავმჯდომარეობს 1990-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებების და 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიებისა და გადმოსვენების მიზნით 2019 წელს შექმნილ უწყებათაშორისი კომისიას.

პანდემიის მიუხედავად, უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების ბედისა და ადგილსამყოფელის დადგენასთან დაკავშირებული საქმიანობა 2021 წლის განმავლობაშიც აქტიურად გაგრძელდა. 2021 წელს იდენტიფიცირებულ იქნა და ოჯახებს გადაეცა 1992-1993 წლების აფხაზეთის რეგიონში შეიარაღებული მოქმედებების შედეგად და მის შემდგომ პერიოდში უგზო-უკვლოდ დაკარგული 26 პირის ნეშტი; განხორციელდა ამოცნობილი პირების აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსვენება, მათი ოჯახის წევრების ინფორმირება და მათთან შეთანხმებით ნეშტების გადაცემის, სამოქალაქო პანაშვიდის და სამხედრო პატივით დაკრძალვის ცერემონიალის დაგეგმვა, ასევე დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვის კოორდინირება; ოჯახების სურვილის გათვალისწინებით და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით, ნეშტების სხვადასხვა ლოკაციაზე, მათ შორის, საგვარეულო სასაფლაოებზე დაკრძალვა; ასევე ოჯახების გადაწყვეტილებით და სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინირებით, ერთი იდენტიფიცირებული პირი გადასვენებულ და დაკრძალულ იქნა ისრაელის, ხოლო მეორე ამოცნობილი პირი კი უკრაინის ტერიტორიაზე.

სახელმწიფო მინისტრის ხელმძღვანელობით, 2021 წლის 26 ივლისს შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიებისა და გადმოსვენების უწყებათაშორისი კომისიის მორიგი სხდომა გაიმართა. კომისიის მონაწილეებმა უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ბედისა და ადგილსამყოფლის გარკვევის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა, ძირითადი გამოწვევები და სამომავლო გეგმები განიხილეს.

უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ხვედრის დადგენის პროცესის წარმატებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამარხების მდებარეობისა და გაუჩინარების გარემოებებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიებას. 2021 წელს გაგრძელდა სამარხებთან დაკავშირებული სარწმუნო ინფორმაციის შეგროვება, დაიგეგმა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ექსპედიციების პროცესი, შეთანხმდა და განახლდა სამარხების სია. პანდემიის შედეგად გამოწვეული სირთულეების გათვალისწინებით, 14 სამარხის გახსნა და 19 ნეშტის ექსპედიცია განხორციელდა.

უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ნეშტების იდენტიფიცირების პროცესის ხელშეწყობის მიზნით, გაგრძელდა ბიოლოგიური ნიმუშების გამოკვლევა. 2021 წელს განხორციელდა 114 გენეტიკური საექსპერტო მომსახურების განწვევა, კერძოდ 1992-1993 წლების შეიარაღებული მოქმედებების შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახის წევრებისა და ბიოლოგიური ნათესავების ბიოლოგიური ნიმუშების გენეტიკური გამოკვლევა-პროფილირება.

უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ხსოვნის, მათი ოჯახების მხარდაჭერის და გაუჩინარების პრობლემაზე ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, თბილისში, თამარაშვილის ხეივანში, სახელმწიფო მინისტრის აპარატის, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტისა და თბილისის მერიის ორგანიზებით უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა სახელობის მემორიალი გაიხსნა. მონუმენტი წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტისა და საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ერთობლივი ძალისხმევითა და ფინანსური მხარდაჭერით დამზადდა.

2021 წლის 20 ოქტომბერს, გაიმართა პრემიერ-მინისტრისა და სახელმწიფო მინისტრის შეხვედრა საქართველოში ვიზიტით მყოფ, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტთან; იმართებოდა რეგულარული შეხვედრები უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახებთან, პოტენციურ მონშეებთან, პროცესში ჩართულ უწყებებთან და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლებთან, მათ შორის, სახელმწიფო მინისტრის დონეზე კავკასიაში უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა საკითხებში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის (ICRC) დესპანთან.

თბილისსა და ქუთაისში გაიმართა საინფორმაციო ჯგუფური შეხვედრები უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახებთან. შეხვედრების მიზანი იყო ოჯახების ინფორმირება უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა მოძიების პროცესის ეტაპებზე, დაგეგმილ ექსპედიციებზე და მოსალოდნელ შედეგებზე

სახელმწიფო მინისტრის აპარატის მონაწილეობით გაიმართა საერთაშორისო ვებინარი თემაზე: „უგზო-უკვლოდ დაკარგულთა დახმარება სპეციფიკური მომენტების დროს“. განხილულ იქნა დაკარგული ოჯახის წევრის იდენტიფიცირების შემთხვევებში, ოჯახების თანადგომის კომპონენტი მათ შორის, საქართველოს პრაქტიკა.

სამწუხაროდ, COVID-19 პანდემიით გამოწვეული საყოველთაო შეზღუდვების გამო, 2021 წელს ვერ გაიმართა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარეობით მიმდინარე 1992-1993 წლების შეიარაღებული მოქმედებების და მის შემდგომ პერიოდში უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირებთან დაკავშირებული ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო მექანიზმის და მექანიზმის ფარგლებში მოქმედი სამედიცინო-ანთროპოლოგიური ექსპერტიზის სამუშაო ჯგუფის შეხვედრები.

1.5. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ხელმძღვანელობს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მეორე ჰუმანიტარულ სამუშაო ჯგუფს, რომლის ფარგლებშიც განიხილება ოკუპირებულ ტერიტორიებსა და გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის ჰუმანიტარული და უფლებრივი მდგომარეობა. დღის წესრიგის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს ასევე იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება წარმოადგენს, რომლის არსებით განხილვას, სამწუხაროდ, მიზანმიმართულად ეშლება ხელი სხვა მონაწილეების მხრიდან.

2021 წელს გაიმართა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ოთხი რაუნდი, რომლის დროსაც ქართული მხარე განიხილავდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მძიმე ჰუმანიტარულ და უფლებრივ მდგომარეობას, COVID-19 პანდემიით გამოწვეულ სავალალო შედეგებს, ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით გალისა და ახალგორის რაიონში მცხოვრები ეთნიკური ქართველების დისკრიმინაციასა და მათი ფუნდამენტური უფლებების უხეშ დარღვევას, მათ შორის საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვის პროცესს, ოკუპირებული ტერიტორიების შემდგომი ხელოვნური იზოლაციისკენ გადადგმულ ნაბიჯებს, თავისუფალ გადაადგილებაზე დაწესებულ შეზღუდვებს, საკუთრებაზე და სასოფლო-სამეურნეო მიწებზე წვდომაზე შექმნილ დაბრკოლებებს, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების აკრძალვას, საქართველოს მოქალაქეების უკანონო დაკავებების ფაქტებსა და უკანონო ქმედებებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ახალგორის მიმართულებით ე.წ. „გადასასვლელი პუნქტის“ ჩაკეტვის შედეგად ცხინვალის რეგიონში შექმნილ ჰუმანიტარულ კრიზისს, რომელსაც რიგითი მოქალაქეების ჯანმრთელობა და სიცოცხლე შეეწირა. ამასთან, საქართველოს დელეგაცია მთელი სიმწვავეთა აყენებდა უკანონო პატიმრობაში მყოფი საქართველოს მოქალაქეების უპირობო და დაუყოვნებელი გათავისუფლების საჭიროებას, ისევე როგორც საქართველოს ოთხი მოქალაქის - დ. ბაშარულის, გ. ოთხოზორიას, ა. ტატუნაშვილისა და ი. კვარაცხელიას სიცოცხლის ხელყოფის ფაქტებს და დამნაშავე პირების პასუხისგებაში მიცემის აუცილებლობას.

მეორე სამუშაო ჯგუფის დღის წესრიგის შესაბამისად, საქართველოს დელეგაცია ასევე აყენებდა იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკუთარ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების საკითხს. სამწუხაროდ, რუსეთის დელეგაციისა და დე-ფაქტო რეჟიმების წარმომადგენლები განხილვებში მონაწილეობის მიღებაზე ტრადიციულად უარს აცხადებდნენ და ტოვებდნენ მოლაპარაკებათა დარბაზს.

წლის განმავლობაში სახელმწიფო მინისტრს ჰქონდა რეგულარული დისტანციური კომუნიკაცია და პირისპირ შეხვედრები ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების სამივე თანათავმჯდომარესთან - ტოივო კლაართან (ევროკავშირი), ჯიჰან სულთანოღლუსთან (გაერო) და ანიკა სოდერსთან (ეუთო), რომლის დროსაც განიხილებოდა მეორე სამუშაო ჯგუფის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი ასევე მონაწილეობდა ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრებში. 2021 წელს გაიმართა IPRM-ის ექვსი შეხვედრა ერგნეთში, სადაც ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები მწვავედ აყენებდნენ საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები, კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უსაფრთხოებასთან, ადამიანის უფლებებსა და ჰუმანიტარულ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის ითხოვდნენ უკანონო პატიმრობაში მყოფი საქართველოს მოქალაქეების უპირობო და დაუყოვნებელ გათავისუფლებას, ასევე ახალგორის მიმართულებით თავისუფალ გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების მოხსნას.

ამასთან, გრძელდებოდა აქტიური მუშაობა საერთაშორისო პარტნიორებთან, მათ შორის ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეებთან, ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონის მიმართულებით IPRM-ის შეხვედრების აღსადგენად, რომელიც საოკუპაციო ძალების მიზანმიმართული, პროვოკაციული ქმედებების გამო 2018 წლის 27 ივნისის შემდეგ შეწყვეტილი რჩება. აღნიშნული განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ადგილზე არსებული მძიმე მდგომარეობისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე საკითხების სასწრაფო გადაჭრის საჭიროების გათვალისწინებით.

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებისა და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების შეუფერხებელი ფუნქციონირება, ასევე ჰუმანიტარული საკითხების აპოლიტიკურ ქრილში განხილვა უაღრესად მნიშვნელოვანი და აუცილებლობის კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებისა და მათი ფუნდამენტური უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

2021 წლის განმავლობაში გრძელდებოდა ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა. ამ მხრივ, ვითარება კვლავ განსაკუთრებით მძიმეა გალის და ახალგორის რაიონებში, სადაც ადგილი აქვს მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას. ამასთან, კოვიდ-19 პანდემიამ, ადგილზე არსებული არასათანადო სამედიცინო მომსახურებისა და საქართველოს კონტროლირებად

ტერიტორიაზე ხარისხიან ჯანდაცვაზე შეზღუდული წვდომის პირობებში, კიდევ უფრო დაამძიმა ოკუპირებული რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის მდგომარეობა.

პანდემიის პირობებშიც კი, ორივე მიმართულებით გრძელდებოდა საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვის უკანონო პროცესი, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა ადგილობრივი მოსახლეობის თავისუფალი გადაადგილება და საკუთარ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებზე წვდომა. 2021 წლის განმავლობაში, ე.წ. „ბორდერიზაციის“ ფაქტებს ადგილი ჰქონდა კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ გორაკას, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლების - ტახტისძირის, ლოლეთის, თამარაშენისა და დირბის, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურვალეთის, ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფელ ორჭოსანის მიმდებარე ტერიტორიებზე.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ახალგორის რაიონში შექმნილი მდგომარეობა, სადაც ერთადერთი ე.წ. „გადასასვლელი პუნქტი“ 2019 წლის 4 სექტემბერიდან დაკეტილი რჩება. აღნიშნულმა უკანონო ქმედებამ მთელი რეგიონი ჰუმანიტარულ კრიზისამდე მიიყვანა, რაც სამედიცინო მომსახურების, მედიკამენტების, საკვებისა და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტების უკმარისობაში გამოიხატება. ხშირ შემთხვევებში, საოკუპაციო რეჟიმი აყოვნებს გადაუდებელი მკურნალობის საჭიროების მქონე პაციენტების საოკუპაციო ხაზზე გამოშვებას, რაც მინიმუმამდე ამცირებს მათი გამოჯანმრთელების შესაძლებლობებს და მეტიც, რიგ შემთხვევებში ლეტალურ შედეგს იწვევს. 2021 წელს მსგავს უკანონო ქმედებებს არაერთი ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლე შეეწირა, რაც ნათლად ადასტურებს, რომ საოკუპაციო ძალა მუდმივად ახდენს ჰუმანიტარული საკითხების პოლიტიზირებას და მშვიდობიან მოსახლეობას საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად იყენებს.

გრძელდებოდა საქართველოს მოქალაქეთა უკანონო დაკავების ფაქტები ე.წ. „საზღვრის“ უკანონო გადაკვეთის გამო. 2021 წელს რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ უკანონოდ იქნა დაკავებული 81 პირი, მათგან ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით - 11, ხოლო ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით - 70 პირი.

საქართველოს მოქალაქეების უკანონო დაკავებები არის ერთ-ერთი უმწვავესი და უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელსაც სახელმწიფო მინისტრის აპარატი განიხილავს საერთაშორისო პარტნიორებთან ყველა ორმხრივი თუ მრავალმხრივი მექანიზმის ფარგლებში და ამავდროულად, იყენებს მის ხელთ არსებულ ყველა მექანიზმსა და ბერკეტს უკანონოდ დაკავებული თითოეული მოქალაქის უპირობო და დაუყოვნებელი გათავისუფლების უზრუნველსაყოფად.

შემაშფოთებელია, რომ აფხაზეთის რეგიონში კვლავ უკანონო პატიმრობაში რჩება გალის რაიონის მაცხოვრებელი ირაკლი ბებუა, რომელიც საოკუპაციო რეჟიმმა ე.წ. „აფხაზური დროშის“ დაწვის საბაბით 2020 წლის 30 სექტემბერს დააკავა და 9 წლით ვადით თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთა. ცხინვალის რეგიონში უკანონო

პატიმრობაში რჩება საქართველოს შვიდი მოქალაქე, მათ შორის 2021 წლის 12 დეკემბერს უკანონოდ გატაცებული მამუკა ჩხიკვაძე.

საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევითა და საერთაშორისო პარტნიორების აქტიური ჩართულობის შედეგად, 2021 წლის 14 ივლისს უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლებულ იქნა კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ჭალის მცხოვრები ზაზა გახელაძე, რომელიც 2020 წლის 11 ივლისს, სხვილოს ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე, საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს და უკანონოდ დააკავეს, ხოლო შემდეგ 12 წლით და 6 თვით უკანონო პატიმრობა „მიუსაჯეს“.

უკანონო დაკავებები არა მხოლოდ ზღუდავს ადგილობრივი მოსახლეობის თავისუფალ გადაადგილებას და მნიშვნელოვნად აკნინებს ადგილზე უსაფრთხოებასა და სტაბილურობას, არამედ მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის რიგითი მოქალაქეების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, რაც კიდევ ერთხელ ნათლად გამოჩნდა გენადი ბესტაევის შემთხვევაში, რომელიც საოკუპაციო რეჟიმმა 2019 წლის 21 ნოემბერს უკანონოდ დააკავა და 3 წლით პატიმრობა „მიუსაჯა“. საქართველოს მთავრობის ხელთ არსებული ბერკეტების ამოქმედებისა და საერთაშორისო პარტნიორების მოწოდებების მიუხედავად, საოკუპაციო რეჟიმმა გენადი ბესტაევი ცენტრალურ ხელისუფლებას მხოლოდ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების შემდეგ, 2021 წლის 16 ნოემბერს გადმოსცა, რის გამოც ექიმებმა მისი სიცოცხლის გადარჩენა ვერ შეძლეს; გენადი ბესტაევი 2022 წლის 16 თებერვალს გარდაიცვალა.

2021 წლის განმავლობაში კვლავ მძიმე იყო მდგომარეობა მშობლიურ ენაზე განათლების მიღების კუთხით. აფხაზეთის რეგიონის საოკუპაციო რეჟიმის გადაწყვეტილებით, გალის რაიონის სკოლებში, ქართულ ენაზე სწავლება მე-11 კლასის ჩათვლით აიკრძალა, რაც მრავალი წლის მანძილზე წარმოებული ეთნიკური დისკრიმინაციისა და რუსიფიკაციის პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენს და მიზნად ისახავს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართული კვალის განადგურებას და მოსახლეობის სრულ ასიმილაციას.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ხელისუფლება ძალღონეს არ იშურებს და იყენებს მის ხელთ არსებულ ყველა ბერკეტს, ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის მშობლიურ ენაზე განათლების მიღების და სხვა ფუნდამენტური უფლებების დასაცავად.

ამ კუთხით, ძალზე მნიშვნელოვანია 2021 წლის 21 იანვარს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ, საქმეზე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“ მიღებული უპრეცედენტო გადაწყვეტილება, რომელმაც დაადგინა, რომ რუსეთი, საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების უხეში დარღვევით, ახორციელებს ეფექტურ კონტროლს საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებზე და მას, როგორც საოკუპაციო ძალას, ეკისრება სრული პასუხისმგებლობა მიმდინარე ოკუპაციის შედეგად ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებზე, როგორც არის სიცოცხლის უფლება, წამების აკრძალვა, თავისუფლებისა და უსაფრთხოების

უფლება, ოჯახური ცხოვრების უფლება, მიმოსვლისა და საკუთრების უფლება. ამასთან, გადაწყვეტილების თანახმად, რუსეთი პასუხისმგებელია იმაზე, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან ასი ათასობით იძულებით გადაადგილებულ პირს არ ეძლევათ საკუთარ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების უფლება.

1.6. თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან

2021 წელს გრძელდებოდა აქტიური თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი ფორმატების ფარგლებში. სახელმწიფო მინისტრის აპარატი ყველა შესაძლებლობას იყენებდა, რათა საერთაშორისო თანამეგობრობისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია, როგორც შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის, მათ შორის სამშვიდობო ინიციატივის "ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ" განხორციელების პროცესში მიღწეული შედეგების, არსებული გამოწვევებისა და სამომავლო ხედვების, ისე საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებული მძიმე ჰუმანიტარული და უფლებრივი მდგომარეობის და ადგილზე ადამიანის უფლებათა მონიტორინგის მექანიზმების შექმნის აუცილებლობის შესახებ. საერთაშორისო პარტნიორებთან კომუნიკაციისას, განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა ე.წ. „გადასასვლელი პუნქტების“ ხანგრძლივი ჩაკეტვის შედეგად ახალგორის რაიონსა და მთელ ცხინვალის რეგიონში შექმნილი ხელოვნური იზოლაციისა და ჰუმანიტარული კრიზისის დაძლევის, თავისუფალი მიმოსვლის აღდგენის, უკანონო პატიმრობაში მყოფი საქართველოს მოქალაქეების უპირობო და დაუყოვნებელი გათავისუფლების, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის ფუნდამენტური უფლებების უზრუნველყოფის აუცილებლობაზე.

რეგულარული კონსულტაციების დროს ასევე აქტიურად განიხილებოდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო ჩართულობის შემდგომი გაძლიერების გზები, ნდობის აღდგენის გაღრმავების შესაძლებლობები, განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები და შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკასთან დაკავშირებული სხვა აქტუალური საკითხები.

2021 წელს გაიმართა სახელმწიფო მინისტრის ორი შეხვედრა საქართველოში აკრედიტებულ ელჩებთან და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან, რომლის დროსაც დამსწრე საზოგადოებას მიეწოდებოდა დეტალური ინფორმაცია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში არსებული მდგომარეობის და სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობის, მიღწეული შედეგებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, ასევე მიმდინარეობდა მსჯელობა შერიგების პროცესში სამომავლო თანამშრომლობის კონკრეტული გზებისა და მიმართულებების თაობაზე. ერთ-ერთ შეხვედრაზე სახელმწიფო მინისტრმა საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს გააცნო აპარატის 10-წლიანი სტრატეგიული ხედვა და ახალი ინიციატივები როგორც შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის, ისე სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის მიმართულებით.

წლის განმავლობაში რეგულარულად იმართებოდა კონსულტაციები და შეხვედრები ევროკავშირთან როგორც მაღალ პოლიტიკურ, ისე სამუშაო დონეზე. რეგულარულად

ტარდებოდა შეხვედრები საგარეო ქმედებათა ევროპულ სამსახურთან, ევროკომისიასთან, სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ოფისთან, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციასთან და სხვა ევროპულ პარტნიორებთან შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის განხორციელებაში ევროკავშირის მხარდაჭერისა და აქტიური ჩართულობის გაგრძელების უზრუნველსაყოფად. სახელმწიფო მინისტრის აპარატმა მონაწილეობა მიიღო საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის რიგ ფორმატებში, სადაც კიდევ ერთხელ დაფიქსირდა ევროკავშირის მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს მთავრობის შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის, მათ შორის სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ მიმართ:

- ❖ 2021 წლის 16 მარტს ქ. ბრიუსელში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს რიგით მე-6 სხდომა, სადაც სხვა საკითხებთან ერთად განხილულ იქნა საქართველოს შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის განხორციელების მიმდინარეობა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული გამოწვევები. დასკვნით ერთობლივ განცხადებაში აისახა სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ მიმართ ევროკავშირის მტკიცე მხარდაჭერა;
- ❖ 7 ივლისს, გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ადამიანის უფლებათა დიალოგის რიგით მე-14 შეხვედრა, რომლის ერთობლივ განცხადებაში კიდევ ერთხელ დადასტურდა ევროკავშირის მხარდაჭერა საქართველოს მთავრობის შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის მიმართ;
- ❖ 25 ნოემბერს ქ. ბრიუსელში გაიმართა საქართველოსა და ევროკავშირის შორის უსაფრთხოების საკითხებზე მაღალი დონის სტრატეგიული დიალოგის მეოთხე შეხვედრა, რომლის დროსაც განხილულ იქნა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესთან დაკავშირებული საკითხები.

ამასთან, 2021 წლის 4 ივნისს სახელმწიფო მინისტრმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს, ევროკავშირისა და აშშ-ის სამხრეთი დიალოგის შეხვედრაში, რომლის დროსაც ვრცლად იქნა განხილული შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის განხორციელების პროცესში საქართველოს სტრატეგიული პარტნიორების - ევროკავშირისა და აშშ-ის შემდგომი მხარდაჭერის გზები და სამომავლო თანამშრომლობის პრიორიტეტები.

გრძელდებოდა თანამშრომლობა საქართველოსა და უკრაინას შორის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისა და მშვიდობის მშენებლობის გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით, 2018 წელს გაფორმებული „ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის მემორანდუმის“ შესაბამისად. დანიის ლტოლვილთა საბჭოს მხარდაჭერით, სახელმწიფო მინისტრის აპარატსა და უკრაინის დროებით ოკუპირებული ტერიტორიების რეინტეგრაციის სამინისტროს შორის გაიმართა რამდენიმე დისტანციური შეხვედრა, მათ შორის მინისტრებს შორის, რომლებიც

მიზნად ისახავდა უკრაინელი კოლეგებისთვის გამოცდილების გაზიარებას საქართველოში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მიმართულებით საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯების შესახებ. მხარეები ასევე მსჯელობდნენ ორივე უწყების საქმიანობასა და პრიორიტეტებზე, სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე, უკრაინასა და საქართველოში მშვიდობის მშენებლობის პროცესსა და ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების დარღვევებთან ბრძოლის გზებზე.

2021 წლის 3 სექტემბერს სახელმწიფო მინისტრი სამუშაო ვიზიტით ესტონეთის რესპუბლიკას ეწვია. ვიზიტის ფარგლებში სახელმწიფო მინისტრმა მონაწილეობა მიიღო და სიტყვით გამოვიდა ლენარტ მერის სახელობის საერთაშორისო კონფერენციის „ჩემი მეზობლის პრობლემა დღეს - ჩემია ხვალ“ ერთ-ერთ საპანელო დისკუსიაში თემაზე - „მოქმედების ახალი მეთოდები: რუსეთის სამეზობლო პოლიტიკა“, ასევე შეხვედრები გამართა ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან, საქართველო-ესტონეთის საპარლამენტო ჯგუფის ხელმძღვანელთან და პარლამენტის წევრებთან.

1.7. ინკლუზიური სამშვიდობო პროცესის უზრუნველყოფა

1.7.1. თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოებასთან

შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელების პროცესში სახელმწიფო მინისტრის აპარატი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან თანამშრომლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2021 წელს გაგრძელდა და კიდევ უფრო გაღრმავდა მჭიდრო თანამშრომლობა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან და ექსპერტებთან. რეგულარულად მიმდინარეობდა მათთან კონსულტაციები როგორც ორმხრივი შეხვედრების, ისე მრავალმხრივი პლატფორმების ფარგლებში.

შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის, მათ შორის სამშვიდობო ინიციატივის "ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ" განხორციელების ეფექტიანობის გასაზრდელად და სამოქალაქო საზოგადოებასთან რეგულარული კომუნიკაციის გასაფართოებლად, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, 2021 წლის 7 აპრილს შეიქმნა „შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა საკონსულტაციო საბჭო“, რომელიც მიზნად ისახავს ოკუპირებულ რეგიონებში არსებული მდგომარეობის კონტექსტში სამშვიდობო პოლიტიკის გაანალიზებას და სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის პოლიტიკის შემდგომი ნაბიჯების შესახებ ექსპერტული მოსაზრებების გაზიარებას.

საბჭოს შემადგენლობაში შედიან კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და მრავალწლიანი გამოცდილების მქონე ექსპერტები. საკონსულტაციო საბჭოს მუშაობაში, მონვეული სტუმრის სტატუსით, მონაწილეობას ასევე იღებენ აფხაზეთის ავტონომიური

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები.

2021 წლის განმავლობაში გაიმართა საბჭოს ორი შეხვედრა, რომლის დროსაც დეტალურად იქნა განხილული საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში მიმდინარე მოვლენები და გამოწვევები, ასევე შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის შესაძლებლობები და სამომავლო ხედვები. ექსპერტთა საკონსულტაციო საბჭო აქტიურად იყო ჩართული ოკუპირებული რეგიონების მიმართ 2010 წლის სახელმწიფო სტრატეგიისა და თანმდევნი სამოქმედო გეგმის სტრატეგიული გადახედვის მიმდინარეობის პროცესში.

1.7.2. ქალების ჩართულობა სამშვიდობო პროცესში

სახელმწიფო მინისტრის აპარატი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ქალთა როლისა და ჩართულობის გაძლიერებას სამშვიდობო პროცესში და „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად, განაგრძობს ძალისხმევას, ერთი მხრივ, სახალხო დიპლომატიის ინიციატივებში და ნდობის აღდგენის პროექტებში ქალთა მონაწილეობის გაზრდის, ხოლო მეორე მხრივ - კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების საჭიროებების გამოვლენისა და მათზე რეაგირების უზრუნველსაყოფად.

რეგულარულად იმართებოდა სახელმწიფო მინისტრისა და აპარატის წარმომადგენლების ორმხრივი და მრავალმხრივი შეხვედრები ქალთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ასევე გამყოფ ხაზებთან მდებარე კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ სოფლებში მცხოვრებ ქალებთან.

არსებული თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების, ასევე სამშვიდობო პროცესში ქალთა ჩართულობის გაძლიერების მიზნით, 2021 წლის 22 აპრილს სახელმწიფო მინისტრის აპარატში შეიქმნა ქალთა და ქალთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ახალი, ინსტიტუციონალიზებული მექანიზმი - „საკონსულტაციო პლატფორმა მშვიდობის მშენებლობის პროცესში ქალთა ეფექტიანი მონაწილეობის გაძლიერების საკითხებზე“. 2021 წელს საკონსულტაციო პლატფორმასთან სამი შეხვედრა გაიმართა, რომლის დროსაც განხილულ იქნა ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფ ხაზებთან მდებარე სოფლებში მცხოვრები, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების საჭიროებები და მათი დაკმაყოფილების გზები, ასევე საქართველოს შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის განხორციელების პროცესში ქალთა მონაწილეობის გაზრდის შესაძლებლობები. ექსპერტთა საკონსულტაციო საბჭოს მსგავსად, ქალთა საკონსულტაციო პლატფორმა აქტიურად იყო ჩართული ოკუპირებული რეგიონების მიმართ 2010 წლის სახელმწიფო სტრატეგიისა და თანმდევნი სამოქმედო გეგმის სტრატეგიული გადახედვის მიმდინარეობის პროცესში.

2021 წელს, რეგულარული დიალოგის მექანიზმის ფარგლებში, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან თანამშრომლობითა და გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, ორი საინფორმაციო შეხვედრა გამართა (25 მაისს და 3 დეკემბერს) ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) მონაწილეებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, მათ შორის ქალთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, ქალთა უფლებების დამცველებს, ასევე იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებს შორის. შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა დამსწრე საზოგადოებისთვის IPRM-ის ფარგლებში განხილული საკითხებისა და მიღწეული შედეგების თაობაზე ინფორმაციის გაზიარება და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მიღება.

ამასთან, სახელმწიფო მინისტრმა 26 აპრილსა და 16 ნოემბერს მონაწილეობა მიიღო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანიზებითა და გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით ჩატარებულ შეხვედრებში - „ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები - ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“, რომლებიც ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკების მონაწილეებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების, მათ შორის ქალთა ორგანიზაციების, ქალთა უფლებების დამცველების, იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების ჩართულობით გაიმართა.

2021 წლის 19 მაისს სახელმწიფო მინისტრი ზუგდიდისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებთან არსებული გენდერული საბჭოების წევრებს შეხვდა.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი აგრძელებდა რეგულარულ კონსულტაციებს საერთაშორისო პარტნიორებთან და დონორ-ორგანიზაციებთან სახალხო დიპლომატიის ინიციატივებსა და ნდობის აღდგენის პროექტებში ქალთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით. სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ოკუპირებული რეგიონების მიმართულებით საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების 81 პროექტზე გაცემული თანხმობიდან 13 პროექტი (16%) მოიცავდა ქალთა საკითხებს ან წარდგენილი იყო ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

კონფლიქტით დაზარალებული ქალების მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის, ასევე ამ კუთხით არსებული დაცვის მექანიზმების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით, 2021 წელს გაიმართა ხუთი საინფორმაციო შეხვედრა გამყოფი ხაზის სოფლებში მცხოვრებ ქალებთან - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერფელდში, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხვითში, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ არბოში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რიყეში და ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დირბში. შეხვედრებს ჯამში კონფლიქტის შედეგად დაზარალებული 93 ქალი და 24 კაცი დაესწრო.

გამყოფ საზთან მცხოვრები კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების ეკონომიკური გაძლიერების მიზნით, 2021 წლის 21 ოქტომბერს - 6 ნოემბერს, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მხარდაჭერით, გაიმართა ონლაინ სასწავლო კურსი „როგორ დავიწყობ ბიზნესი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გორის, ზუგდიდში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ასევე გალის რაიონში მცხოვრებმა ქალებმა (სულ 14 მონაწილე). სასწავლო კურსის მიზანი იყო მენარმეობის შესახებ ქალების თეორიული ცოდნის ამაღლება და ბიზნესის წარმოების პრაქტიკული უნარების გაძლიერება.

1.7.3. ახალგაზრდების ჩართულობა სამშვიდობო პროცესში

2021 წელს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს სამშვიდობო პროცესით დაინტერესებული, მათ შორის კონფლიქტით დაზარალებული ახალგაზრდების ჩართულობის გააქტიურება წარმოადგენდა.

21 სექტემბერს, მშვიდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით, გაიმართა ღონისძიება სახელწოდებით - „ახალგაზრდების როლის გაზრდა მშვიდობის მშენებლობაში“. ღონისძიების ფარგლებში სახელმწიფო მინისტრი, სპეციალური სტუმრის სტატუსით მოწვეულ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან და საქართველოში გაერო-ს კოორდინატორთან ერთად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრებ, ასევე მშვიდობის მშენებლობის პროცესით დაინტერესებულ ახალგაზრდებს შეხვდა, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლობენ. მათ მიიღეს დეტალური ინფორმაცია შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის განხორციელების თაობაზე, ასევე სახელმწიფო მინისტრს გაუზიარეს საკუთარი მოსაზრებები ოკუპირებულ რეგიონებში მიმდინარე მოვლენებსა და ნდობის აღდგენის მიმართულებებთან დაკავშირებით. ამასთან, ღონისძიების ფარგლებში დაჯილდოვდა სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გამოცხადებულ სლოგანების კონკურსში „ახალგაზრდები და მშვიდობა“ გამარჯვებული სამი ახალგაზრდა.

სამშვიდობო პროცესში ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, 2021 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ახალგაზრდებისთვის ყოველწლიური ჟილდოს - „სახელმწიფო მინისტრის აპარატის მშვიდობის ჟილდო ახალგაზრდებისთვის“ - დაწესების თაობაზე. ჟილდო გადაეცემა ახალგაზრდას ან ახალგაზრდების ჯგუფს, რომლებსაც საქართველოს მთავრობის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, თავიანთი საქმიანობითა და აქტივობით განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ მშვიდობის მშენებლობის და ომით გაყოფილ საზოგადოებებს შორის შერიგების, ასევე კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარების პროცესში. ჟილდოს გადაცემა 2022 წლიდან მოხდება.

2. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკა

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობების ქრილში განიხილება და ორიენტირებულია თანაბარუფლებიანი და დემოკრატიული საზოგადოების განმტკიცებაზე, სადაც საქართველოს ყველა მოქალაქისთვის, განურჩევლად მისი ეთნიკური თუ კულტურული კუთვნილებისა, სახელმწიფოს მხრიდან უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სრულფასოვანი მონაწილეობის, პიროვნული და პროფესიული განვითარებისთვის თანაბარი შესაძლებლობები.

აღნიშნული მიზნების რეალიზების კუთხით საქართველოს მთავრობამ, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობითა და კოორდინაციით, შეიმუშავა **„სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია და 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა“**. სტრატეგიის ფარგლებში, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სფეროში უწყებათაშორისი, მრავალსექტორული, ერთიანი და თანამიმდევრული პოლიტიკის გატარების მიზნით, განსაზღვრულია ქვეყნის გრძელვადიანი პრიორიტეტები და ამოცანები, რაც ხელს შეუწყობს პროცესების კოორდინირებულად და ეფექტიანად წარმართვას, ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვასა და მხარდაჭერის გაძლიერებას, სამოქალაქო თანასწორობაზე დაფუძნებული საზოგადოების განმტკიცებასა და საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე აღებული პოზიტიური ვალდებულებების შესრულებას.

ათწლიანი პოლიტიკის და შესაბამისი სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესი იყო ღია და ინკლუზიური. კერძოდ, უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი დარგობრივი უწყებების, პარლამენტის, ისევე როგორც სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, აკადემიური წრეების, მედიის წარმომადგენლების, დამოუკიდებელი ექსპერტების, სახალხო დამცველის აპარატისა და მასთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭოს მონაწილეობა. საერთო ჯამში სტრატეგიის შემუშავების პროცესში გაიმართა 18 საკონსულტაციო შეხვედრა, რომელშიც ჩართული იყო 216 პირი. ამ პროცესში, ყველა დაინტერესებულ პირს, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, ჰქონდა შესაძლებლობა წარმოედგინა საკუთარი ხედვა და მოსაზრებები. აღსანიშნავია, რომ სტრატეგიის საერთაშორისო ექსპერტიზა უზრუნველყო და მაღალი შეფასება მისცა ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში ეუთოს უმაღლესმა კომისარმა, რომლითაც დადასტურდა შემუშავებული დოკუმენტის შესაბამისობა საერთაშორისო პრინციპებსა და სტანდარტებთან. 2021-2030 წლების სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია მიზნად ისახავს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის მიმართულებით გრძელვადიანი და შეუქცევადი პოზიტიური ცვლილებების განხორციელების უზრუნველყოფას და შესაბამისი პოლიტიკის განსახორციელებლად განსაზღვრავს **ხუთ პრიორიტეტულ, ურთიერთდაკავშირებულ მიმართულებას:**

- ❖ სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად;
- ❖ ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- ❖ თანასწორობა, სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა;
- ❖ სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაცია;

❖ კულტურათაშორისი დიალოგი.

თითოეული მიმართულებით დასახული კონკრეტული ამოცანების განხორციელება და შესაბამისი ქმედითი მექანიზმების ფორმირებაზე მუშაობა, რომლებიც უზრუნველყოფს სრულფასოვანი ინტეგრაციის შედეგებს და უკვე დაწყებულია შესაბამისი დარგობრივი უწყებების ჩართულობით. მათ შორის, იმ უნიკალური ინსტრუმენტებით, რომლებიც ჩვენ ქვეყანაშია წარმატებით დანერგილი: სკოლამდელი და ზოგადი განათლება მშობლიურ ენაზე, სახელმწიფო ენის სწავლების უფასო კურსები და პროგრამები ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების მშობლიური ენების სკოლებში სწავლება, უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა გამარტივებული წესით, საჯარო სამსახურში სპეციალური სტაჟირების პროგრამა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივ დონეზე ჩართულობის ხელშეწყობა საკონსულტაციო საბჭოების საშუალებით, პროფესიული განათლების პროგრამები, მშობლიურ ენაზე მედია, კულტურული მრავალფეროვნების მხარდაჭერა, რაც საერთაშორისო დონეზე არაერთხელ ყოფილა განხილული, როგორც იშვიათი საუკეთესო და უნიკალური პრაქტიკა.

2.1. სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად

სრულფასოვანი სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის მისაღწევად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო ენის ცოდნას, რაც ჯერ კიდევ გამოწვევას წარმოადგენს ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონში. შესაბამისად, წლის განმავლობაში პრიორიტეტული იყო განათლების თითოეულ საფეხურზე იმ პროგრამებისა და პროექტების ეფექტიანი განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებას.

ამ მიმართულებით მიმდინარე პოლიტიკას, როგორც მეთოდოლოგიურად, ისე აქტორების ჩართულობის კუთხით კომპლექსური ხასიათი აქვს. სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლების მიზნით გაფართოვდა ქართული ენის სწავლების სახელმწიფო პროგრამების ბენეფიციართა სეგმენტი, გეოგრაფიული დაფარვის არეალი და შეიქმნა ფართო შესაძლებლობები საკითხით დაინტერესებული ნებისმიერი მოქალაქისთვის; შედეგად, მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში 4000-მდე ზრდასრულმა პირმა გაიუმჯობესა ქართული ენის კომპეტენცია - იმ პირობებში, როდესაც პანდემიის გათვალისწინებით სასწავლო კურსები, ძირითადად, დისტანციურად მიმდინარეობდა. შემუშავდა კომპლექსური ღონისძიებები ქართული ენის პოპულარიზაციის, შესწავლის შესაძლებლობების და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის შემდგომი გაფართოებისა და საჯარო სივრცეში გამოყენების მიზნით.

ახალი ხედვის ფარგლებში, ქართული ენის სწავლება დაიწყება სკოლამდელი განათლების დონეზე და გაგრძელდება ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებაში, რაც შექმნის ენის სწავლების უწყვეტ საგანმანათლებლო ჯაჭვს და ასევე პრიორიტეტული იქნება ზრდასრულთა განათლების კონტექსტში. ამ მიმართულებით საპილოტე პროექტები უკვე დაწყებულია. ამავდროულად, ფორმალური ასევე არაფორმალური განათლების ფარგლებში სახელმწიფო ენის

პროგრამებს დაემატა საინტეგრაციო კომპონენტი, რომელიც ითვალისწინებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებსა და აქტუალურ საკითხებზე, ბენეფიციარების ასაკის შესაბამისი კონტექსტით ინფორმაციის მიწოდებას. აღნიშნული ახალი კომპონენტის ფარგლებში უკვე დაიწყო დაგეგმილი აქტივობების განხორციელება სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე, მათ შორის პანდემიისა და ვაქცინაციის შესახებ.

შეიქმნა პროგრამა ეთნიკური უმცირესობების სტანდარტები სკოლამდელი და ზოგადი განათლებისთვის, რომლის მიზანია ორენოვანი - სახელმწიფო და მშობლიურ ენაზე განათლების მოდელის დანერგვა. პროგრამის პილოტირება დაიწყო ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში 9 სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებასა და 27 არაქართულენოვან სკოლაში. დაწყებულია მასწავლებლების გადამზადება ანალოგიური პროგრამის დამატებით 7 სკოლამდელ დაწესებულებასა და 30 სკოლაში დასაწერად.

2.2. ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა

განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის განგრძობადი ამაღლება კვლავ რჩება უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პრიორიტეტად. განათლების თითოეული საფეხური ხელმისაწვდომია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის. უზრუნველყოფილია ასევე, ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენებზე განათლების მიღების შესაძლებლობა 300-მდე არაქართულენოვან საჯარო სკოლასა და სექტორში. სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის რეგიონების არაქართულენოვანი სკოლების საკადრო დეფიციტის დაძლევის მიზნით სკოლებში მივლინებულ იქნა მასწავლებელთა სამი ჯგუფი: 121 ქართულის, როგორც მეორე ენის კონსულტანტ-მასწავლებელი, 125 დამხმარე მასწავლებელი, მათ შორის 61 ორენოვანი დამხმარე მასწავლებელი, რომლებიც ადგილობრივ მასწავლებლებთან ერთად მუშაობენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებებით.

წარმატებით მიმდინარეობს გამართივებული პროგრამა 22 უმაღლეს და 90 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. კონკრეტულად, გაწეული ძალისხმევით შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა უმაღლესი განათლების მიღების საშუალო პოლიტიკის ინსტრუმენტის - ე.წ. „1+4 საგანმანათლებლო პროგრამის“ პოპულარობა, რაზეც მეტყველებს დაინტერესებული აბიტურიენტების რაოდენობის ზრდის დინამიკა - მხოლოდ წელს ამ პროგრამაზე 1332 სტუდენტი ჩაირიცხა, რაც პროგრამის საწყის მაჩვენებელზე 5-ჯერ მეტია. მათ შორის:

- ❖ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტის საფუძველზე - 1033;
- ❖ ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტის საფუძველზე - 292;
- ❖ მშობლიური ენის - ოსური ენის ტესტის საფუძველზე - 7.

სახელმწიფო სასწავლო გრანტი 2021 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი და ოსური ენის ტესტის შედეგების საფუძველზე მოიპოვა 198-მა აბიტურიენტმა:

- ❖ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტის საფუძველზე - 98 აბიტურიენტი;

- ❖ ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტის საფუძველზე - 96 აბიტურიენტი;
- ❖ მშობლიური ენის - ოსური ენის ტესტის საფუძველზე - 4 აბიტურიენტი.

რაც შეეხება პროფესიულ განათლებას, 2021 წელს პროფესიული განათლების დაწესებულებებში ჩაირიცხა ეთნიკური უმცირესობის 238 წარმომადგენელი. ასევე, გაგრძელდა მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მშობლიური ენების სწავლება (ოსური, ჩეჩნური, ხუნძური, უდიური, ასურული) მოთხოვნის შესაბამისად განსაზღვრულ საჯარო სკოლებში.

2.3. თანასწორობა, სამოქალაქო და კოლიტიკური მონაწილეობა

2021 წელს ჩატარებულ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში უზრუნველყოფილი იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა თანასწორი და სრული მონაწილეობა. ამ მიმართულებით განხორციელდა რიგი ღონისძიებები:

- ❖ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მომზადდა და დაიბეჭდა სხვადასხვა საარჩევნო დოკუმენტაცია;
- ❖ ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა საინფორმაციო კამპანიები, გავრცელდა შესაბამისი საინფორმაციო მასალები;
- ❖ განხორციელდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა გადამზადება საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით;
- ❖ გაიხსნა 348 საარჩევნო უბანი (ქართულ-სომხურ, ქართულ-აზერბაიჯანულ, ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანული);
- ❖ განხორციელდა საგანმანათლებლო პროექტები და საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანიები.

საანგარიშო პერიოდში განახლდა ე.წ. „1+4 სტაჟირების პროგრამა“, რომელიც მიზნად ისახავს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების საჯარო სამსახურში ჩართულობის გაუმჯობესებას. 2021 წლის ნაკადში სტაჟირების პროგრამაში ჩაერთო 67 ახალგაზრდა (დღემდე პროგრამაში 361-მა ბენეფიციარმა მიიღო მონაწილეობა).

მედიასა და ინფორმაციაზე წვდომის გაუმჯობესების მიზნით გაგრძელდა საინფორმაციო გადაცემა „მოამბის“ ტრანსლირება სომხური და აზერბაიჯანული ენის მატარებელი ხმოვანი ბილიკების თანხლებით. ასევე, ფუნქციონირება განაგრძო შვიდენოვანმა ვებ-პორტალმა - www.1tv.ge. ხელი შეეწყო არაქართულენოვან ბეჭდვით მედიას - სახელმწიფოს დაფინანსებით, წლის განმავლობაში რეგულარულად გამოიცემოდა სომხურენოვანი გაზეთი „ვრასტანი“ (102 ნომერი, 3500 ტირაჟი) და აზერბაიჯანულენოვანი ყოველკვირეული გაზეთი „გურჯისტანი“ (50 ნომერი; ტირაჟი 4700). გაზეთები გავრცელდა, როგორც თბილისში, ისე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, პენიტენციურ დაწესებულებებში.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით განხორციელდა საინფორმაციო კამპანიის პროექტი - **„ეთნიკური უმცირესობებისათვის უფასო იურიდიული სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობა“**. პროექტის ფარგლებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მშობლიურ ენებზე 3 რეგიონის 11 მუნიციპალიტეტის 16 სოფელში ჩატარდა 27 შეხვედრა, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 500-მდე ბენეფიციარმა.

თანასწორობის, სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობის სტრატეგიული პრიორიტეტის ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჩართულობის გასაძლიერებლად დასახულია ნაბიჯები, რომელიც უფრო მაღალ სტანდარტებზე იქნება ორიენტირებული. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ინფორმაციასა და მედიაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, რითაც დავეუბრისპირდებით ეთნიკურ უმცირესობებზე გამიზნულ დეზინფორმაციას და ხელს შევეწყობთ სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელი ჩვენი თანამოქალაქეების სამოქალაქო აქტიურობას და ერთმანეთთან კომუნიკაციას.

2.4. სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია

სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაციის პრიორიტეტის რეალიზების მიმართულებით სტრატეგია მიზნად ისახავს ეთნიკურად მრავალფეროვანი საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობას და სოციალურ თანასწორობას, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, ეკონომიკურ პროცესებში ჩართულობისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნას, სახელმწიფო პროგრამებსა და სერვისებზე წვდომის ამაღლებას, პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და დასაქმების შესაძლებლობების განვითარებას, საკომუნიკაციო საშუალებებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების ჩათვლით.

საანგარიშო პერიოდში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში გაგრძელდა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება (გაზიფიკაცია, შიდა გზების, საირიგაციო და სასმელი წყლის სისტემების, გარეგანათების რეაბილიტაცია და სხვა).

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით გაგრძელდა პროექტი **„ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა“**. პროექტში ჩართულნი იყვნენ თანატოლგანმანათლებლები, რომლებმაც 12 მუნიციპალიტეტის 60 სოფელში, (მათ შორის, დისტანციურად) ათასამდე ახალგაზრდას მიაწოდეს ინფორმაცია პროფესიული და უმაღლესი განათლების შესაძლებლობების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო მინისტრის აპარატის პროექტის **„ახალგაზრდა ევროპული ელჩები“-ს** ფარგლებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების, დასავლური ღირებულებების გაცნობის მიზნით 2020-2021 წლებში 15 მუნიციპალიტეტის 46 სოფელში 51 შეხვედრა ჩატარდა, რომელსაც 800-მდე მონაწილე დაესწრო.

2.5. კულტურათაშორისი დიალოგი

კულტურათაშორისი დიალოგთან მიმართებით სტრატეგიის მექანიზმად განიხილება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ეთნოსების თეატრების, მუზეუმების, ბიბლიოთეკების საქმიანობის და კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა, მათი ერთობლივი საგანმანათლებლო, სპორტული და კულტურული აქტივობების ხელშეწყობა და კულტურათაშორისი ურთიერთობების განვითარება.

საანგარიშო წლის განმავლობაში გაგრძელდა პროგრამების/პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელება, რაც მიზნად ისახავდა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის განვითარებასა და პოპულარიზაციას. მნიშვნელოვანი იყო მუზეუმებისა (წლიური ბიუჯეტი 204 000 ლარი) და თეატრების (წლიური ბიუჯეტი - 1 952 000 ლარი) საქმიანობის ხელშეწყობა ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფის გზით.

თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო აქტორებთან

წლის განმავლობაში წარმართა კონსტრუქციული და ნაყოფიერი თანამშრომლობა სამოქალაქო სექტორთან, ექსპერტებთან, საერთაშორისო პარტნიორებთან, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან/მოსახლეობასთან.

რეგულარულ რეჟიმში იმართებოდა შეხვედრები, დისკუსიები, კონსულტაციები. სახელმწიფო მინისტრი არსებული საჭიროებების, გამოწვევების გაცნობისა და მათი მოგვარების მიზნით პირადად და არაერთხელ ჩავიდა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში და სამუშაო რეჟიმში განიხილა არსებული ვითარება.

2.6. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მხარდაჭერა COVID-19 პანდემიის პერიოდში

სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებულ მნიშვნელოვან სამუშაოებს შორის, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში პანდემიით შექმნილ გამოწვევებზე დროული რეაგირების მიზნით გაიმართა საინფორმაციო და სოციალური დახმარების აქტივობები, კერძოდ: კორონავირუსის გავრცელების პრევენციის და ვაქცინაციის საკითხებზე ჩატარდა ფართომასშტაბიანი ცნობიერების ამაღლების კამპანიები, რომელიც კარდაკარ პრინციპით წარმართა ორ - სახელმწიფო და მშობლიურ ენაზე; დახმარება გაენია სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, მარტოხელა მოხუცებსა და ობოლ ბავშვებს. ყველა რეგიონში გაიმართა სახელმწიფო მინისტრის და სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენელთა ვიზიტები, არაერთი შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან. შეხვედრების ძირითად მიზანს პანდემიასთან დაკავშირებულ საკითხებთან ერთად, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკის ახალი სტრატეგიული ხედვების განხილვა წარმოადგენდა. მათ შორის:

- ❖ მომზადდა და სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა ანტიკრიზისული გეგმა და კორონავირუსის პრევენციასთან დაკავშირებით ერთ მილიონამდე საინფორმაციო მასალა, რომელიც კარდაკარ პრინციპით გავრცელდა ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებში;
- ❖ მიზნობრივად დაიგზავნა სხვადასხვა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მომზადებული SMS გზავნილები;
- ❖ გადამზადდნენ ორენოვანი ახალგაზრდები, რომლებიც ოპერატორებად დასაქმდნენ სამთავრობო ცხელ ხაზზე 144-1. აღნიშნული ცხელი ხაზის მეშვეობით მოქალაქეებს ეძლეოდათ შესაძლებლობა, მათ შორის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, მიეღოთ კონსულტაცია დაწესებული გადაადგილების დროებითი შეზღუდვის პირობებში საშვის გაცემის თაობაზე და აუცილებლობის შემთხვევაში ესარგებლათ სერვისით;
- ❖ გადამზადდა ორენოვანი ახალგაზრდების მოხალისეთა ჯგუფი, რომლებმაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით დასახლებული რეგიონების 5 მუნიციპალიტეტის 36 სოფლებში დისტანციურ რეჟიმში ჩაატარეს შეხვედრები კორონავირუსის პრევენციასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- ❖ სოციალური დახმარების კამპანიის ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ დედ-მამით ობოლ, შშმ ბავშვებსა და ბოშათა ოჯახებს გადაეცათ საკვები პროდუქტებისა და ჰიგიენური საშუალებების პაკეტი (1334 პაკეტი);
- ❖ ასევე, ვაქცინაციის პროცესის მხარდასაჭერად და მოსახლეობის ინფორმირებისა და ყველა არსებულ შეკითხვაზე კომპეტენტური პასუხების გაცემის მიზნით ინტენსიური შეხვედრები ტარდებოდა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების სოფლებში, მათ შორის, საზოგადოებისათვის ცნობილი ალერგოლოგებისა და იმუნოლოგების მონაწილეობით.